ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული „ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. ხელშეკრულების მე-30.1.1 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

   „30.1.1 P2P - გადახდა ინტერნეტ/მობილურ ბანკში გულისხმობს, საფინანსო ინსტიტუტების მიერ ემიტირებული, კლიენტის კუთვნილი სადებეტო/საკრედიტო ბარათ(ებ)ის კლიენტის მიერ ინტერნეტ/მობილურ ბანკში დამატების საფუძველზე, კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან/ბარათ(ებ)იდან საფინანსო ინსტიტუტ(ებ)ის ბარათ(ებ)ზე და/ან საფინანსო ინსტიტუტ(ებ)ის ბარათ(ებ)იდან კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე/ბარათ(ებ)ზე და/ან საფინანსო ინსტიტუტ(ებ)ის ბარათებს შორის საბანკო ოპერაციების (თანხის ჩარიცხვა/გადარიცხვა) განხორციელებას ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ბანკის მიერ განსაზღვრული წეს(ებ)ის/ლიმიტ(ებ)ის შესაბამისად. ამავდროულად, ამ მუხლით განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში, კლიენტს შეუძლია ნებისმიერ მესამე პირს (მიუხედავად იმისა, მესამე პირი არის თუ არა ბანკის კლიენტი), საფინანსო ინსტიტუტ(ებ)ში გადაურიცხოს თანხა მესამე პირის მობილურის ნომრის გამოყენებით.“

2. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ცვლილება ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 10 (ათი) დღეში.